

## ამონაწერი

### აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი

№16

4 აპრილი 2016 წ.

### დღის წესრიგი

**საკითხი 2:** *სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების თაობაზე.*

აკადემიური საბჭოს წევრები დაუბრუნდნენ გადადებულ საკითხს - რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვას. მათ დეტალურად გაიარეს ყოველი პუნქტი და გაიმართა მსჯელობა, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატი. აღინიშნა, რომ სასურველია, რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ჰქონდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელმძღვანელობით თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება. იყო აზრთა სხვადასხვაობა გამოცდილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. საბოლოოდ აკადემიური საბჭოს წევრები ჩამოყალიბდნენ ფორმულირებაზე, რომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელს უნდა ჰქონდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელმძღვანელობით თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

ასეთ თანამდებობად უნდა იქნეს მიჩნეული, მაგალითად, ფაკულტეტის ან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კათედრის გამგის, დეპარტამენტის უფროსის პოზიცია და სხვ. ამასთან, აღინიშნა, რომ აუცილებელია განიმარტოს ამ კონკურსის მიზნებისათვის, ფაკულტეტის მიმართულების პროფესორის თანამდებობა უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული ხელმძღვანელობით თანამდებობად. გასათვალისწინებელია ასევე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს თუ რა შეიძლება შედიოდეს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის შემადგენლობაში (სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია,

კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები). იმ პირობებში, როცა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების შემადგენლობაში, რიგ შემთხვევაში, არ არის კათედრები და არის მიმართულებები, რომლებიც საგნობრივი ჯგუფების მიხედვით იქმნება, ხოლო მიმართულების შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს ერთზე მეტი პროფესორი, აუცილებელია განიმარტოს, რომ ასეთ დროს თითოეული მათგანი თანაბრად იკავებს მიმართულების ხელმძღვანელის თანამდებობას. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჯ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესორი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. შესაბამისად, მიმართულების თითოეული პროფესორი (მიუხედავად მიმართულებაზე მათი რაოდენობისა), იმავდროულად არის მიმართულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

აკადემიური საბჭოს წევრებმა დამატებით აღნიშნეს, რომ ეს განმარტება არ ვრცელდება მხოლოდ თსუ-ს პერსონალზე. ეს ეხება ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ზემოაღნიშნული გამოცდილების მქონე პირს, ვინც ისურვებს მონაწილეობა მიიღოს ხსენებულ კონკურსში.

**აზრი გამოთქვეს და კითხვები დასვეს:** მ. კოპალეიშვილმა, ვ. პაპავამ, ე. ჭკუასელმა, შ. სამსონიამ, რ. ქურდაძემ, გ. გალდავამ, ე. მარშავამ.

აკადემიურმა საბჭომ ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად კენჭი უყარა ამ საკითხს, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული და დამტკიცდა დადგენილებით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, პროფესორი

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

სხდომის მდივანი

მზექალა აჭაიძე

ამონაწერი სწორია

მ. აჭაიძე